



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების აკრედიტაციის
ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 51

24 05 2000 წ.

ქ. თბილისი

ინსტიტუციური აკრედიტაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №222 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ინსტიტუციური აკრედიტაციის რეკომენდაციები დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52) ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის გზით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა დაევალოს კანცელარიას.

დირექტორი

გ-ე/



დავით კერესელიძე